**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -**

**„აწარმოე საქართველოში“ დირექტორის**

# ბრძანება

KA020101580586220

**№ ს-29** **28 / მაისი / 2020 წ.**

## ექსპორტის სტიმულირების მიზნით საერთაშორისო მოდის კვირეულების ფარგლებში ჩასატარებელ ღონისძიებებში (ე.წ. შოურუმი) მონაწილეობისთვის კომპანიების შერჩევის კრიტერიუმების და თანადაფინანსების მექანიზმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ექსპორტის სტიმულირების მიზნით საერთაშორისო მოდის კვირეულების ფარგლებში ჩასატარებელ ღონისძიებებში (ე.წ. შოურუმი) მონაწილეობისთვის კომპანიების შერჩევის კრიტერიუმები და თანადაფინანსების მექანიზმი“ დანართის შესაბამისად.

2. ბრძანებით დამტკიცებული წესის შესრულება დაევალოს ექსპორტის დეპარტამენტს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (0105 ქ, თბილისი, სანაპიროს ქ. N2 (იუსტიციის სახლი, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო).

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მიხეილ ხიდურელი